

1936

საქართველოს
საბავშვო

საბავშვო



1936ე

ი



„პიონერი“

სამ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და

საქართველოს განსახორციელებელი

ერთგვარული ჟურნალი

№ 10

ოქტომბერი—1936

წელიწადი მე-11

სამ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა

„კომუნისტი“

რედაქციის მისამართი: გრიბოედოვის ქ., № 34

ტელ. № 3-02-61

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
✓ 1. სოსია ხაჩიძე, — მოთხრობა ბორის ჩხეიძისა	1
2. იშვიითი გამოფენა	4
3. რისთვის იბრძვის ესპანეთის ხალხი? — კ. მელაძისა	5
✓ 4. პაულ იჩინო, — მოთხრობა ი. ჩხაიძისა	8
5. დოლორეს იბარურს, — ლექსი შ. სამადაშვილისა	9
✓ 6. ხალამო ციტრუსებში, — ლექსი მიმქარლისა	10
7. ჟირონის საუნჯე და ხუროთმოძღვრის საიდუმლოება, — მოთხრობა შ. შარიაშვილისა	11
8. პეტრიკა და პეტრიკელა, — ზღაპარი, თარგმნა გრიშიდან ნ. ლ-ძემ 13	
9. გოლითი კუ, — ვ. კახიანისა გარეჯანის მე-3-ე გვ.	
10. ჩვენი სიმღერა, — სიტყვები აროხიასი, მუსიკა თ. შავერზაშვილისა, გარეჯანის მე-4-ე გვ.	

ჟურნალი გაფორმებულია მხ. ი. ქოქიაშვილის და შ. ბერიტაშვილის მიერ.



ქართული
ბიბლიოთეკა



ბ. ჩხეიძე

სოფელ ხეთახევის საბჭოს თავმჯდომარემ, რომელიც მასწავლებელი იყო და სოფსაბჭომ თავმჯდომარედ ამოირჩია, სოფლები შემოიარა და კოლმეურნოების მუშაობაც გასინჯა. ახალი თავმჯდომარე თითქმის ყველა კოლმეურნეს იცნობდა და ძლიერ აინტერესებდა, თუ ვინ შემოემატა კოლმეურნობას.

ამიტომაც ლოხას კოლმეურნეობის წევრთა სია, მის თავმჯდომარესთან ერთად, გულდასმით შეისწავლა; სიის ბოლოში უფერად შეჩერდა, მიაჩერდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და გაკვირვებულმა იკითხა:

— ეს რომელი სოსია ხაჩიძეა?

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჩაიღიმა: მიუხედავად, რაღაც გაუკვირდა სოფსაბჭოს თავმჯდომარეს ეს გვარი და სახელი და დინჯად მიუგო:

— ჰო, ესაა გაგარეულეული სოსია ხაჩიძე, მათში რომ ცხოვრობდა მუდამ, უნათესაო და უთვისტომო.

— ნუთუ სოსია ბარს ენლა და კოლექტივშიც შემოვიდა? — იკითხა კიდევ მან გაკვირვებით და ვარშემო შემოგროვებულ კოლმეურნეებს გადახედა.

— როგორც ხედავთ! — მიუგო ერთმა. — ოთხმოცდათხუთმეტი წლის სოსია პირველად ჩამოვიდა ბარში და კოლმეურნეობის წევრიც გახდა.

მართლა საკვირველი იყო სოსია ხაჩიძის კოლმეურნეობაში შემოსვლის ამბავი.

სოსია ხაჩიძე ლიხის მთების მწვერვალებში ცხოვრობდა, ისეთ უღრან ტყეში, სადაც არავითარი სულიერი არ დადიოდა, ვარდა ნადირისა, და არავითარი ფრინველი არ ფრინავდა, ვარდა ორბებისა და ძერებისა. მართალია, ის

გვარად ხაჩიძე იყო, ისიც მართალია, რომ ახლომახლო სოფლებში ხაჩიძეები ბევრნი ცხოვრობდნენ, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ სოსიას ნათესავი და მოყვარე არ გააჩნდა. ის მთელ თავის სიცოცხლეში განმარტოებით ცხოვრობდა მთებში და ადამიანს არ შეხედებოდა, თუ კი უნებურად ზედ არ წააწყდებოდა. მისი ტოლები თითქმის ყველანი გასული საუკუნის მიწურულში დაიხოცნენ. ზოგმა მოხუცებას ვეღარ გაუძლო, ზოგმა კი მძინვარე ბატონყმობას.

სოსია მხოლოდ იმიტომ გადაჩრა, რომ ლიხის მთებსა და მწვერვალებს ენლა. იქ შეაფარა თავი მარტოდმარტომ. ბარში არ ჩამოდიოდა. სოსიას მამა სურამელ აბაზაძეს ჰყავდა შინაყმად. მამას ერეკლე ერქვა. ერეკლეს ტოლი ვაჟაკი იშვიათად მოიძენებოდა. ამიტომაც აბაზაძე გვერდიდან არ იშორებდა, ხოლო პატარა ობოლი სოსია ნახირში დაუდიოდა.

აბაზაძე შიშის ზარს სცემდა გლეხებს. მათახითა და „როზგით“ ერთი-ათად იღებდა გლეხებიდან ღალასა და გადასახადს. დიდი ხანია ემუქრებოდნენ გლეხები აბაზაძეს, მაგრამ ერეკლესი ეშინოდათ, ბატონის დიდი ერთგული ეგონათ.

1864 წლამდე იყო ეს ამბავი. ბატონყმობა ის იყო გადავარდა, და ერეკლემ ბატონს შინ გაშეშა მოსთხოვა. ბატონი ისედაც არ იყო კარგად განწყობილი ერეკლესადმი: უკანასკნელ წლებში ერეკლე გლეხებს აქეზებდა ღალა აღარ გადაეხადათ ბატონისათვის.

მაგრამ ეს არაფერი, ბატონი, ასე იყო თუ ისე, უთმენდა, სანამ ახალ სამოურავო კაცს

იშოვნდა. მკათათვის ბოლოს, როცა პური და ქერი მოკალოვდა, აბაზაძემ ერეკლე წაიყვანა და ღალა აკრიფა. დარჩა ერთი სოფელი.

ამ სოფლის საყენებელი იმ წელიწადს დასეტყვა და გლეხებს თავიანთი სარჩოც ალარა ჰქონდათ.

მოხუცებმა თავი შეიყარეს და ბატონთან თხოვნით მივიდნენ. ეხვეწებოდნენ ღალის ბატონებს, აბაზაძემ არ შეიწყნარა და ფიცხელი განკარგულება გასცა ღალა დარბევით აეღოთ. ამის შესრულება ერეკლეს დაევა.

— არა აქვთ რა, ბატონო, და რა გადავახდევინო?

უთხრა ერეკლემ ბატონს და დარბევებზე უარი განაცხადა, იქაურობას თავი დაანება და თავის პატარა ქონში წამოვიდა.

აბაზაძემ გული არ გაიტეხა. გლეხებს იმ წელიწადს ამატია ვადსახადი, მაგრამ ღამით ერეკლეს ჩაფრებით თავს დაესხა და შებოკილი წაიყვანა ხაშურისაკენ.

— სად მიყავარ, ბატონო?

ჰკითხა შებოკილმა ერეკლემ აბაზაძეს.

— ციპბირში! მე ვასწავლი, როგორ უნდა ურჩობა! — მიუგო აბაზაძემ და პანდურის ცემით წინ გაიგდო. სოსია მაშინ ჩვიდმეტი წლისა ძლივს იყო. გაეგებოდა, რას ნიშნავდა ციპბირი. წასულმებს ფეხდაფეხ გამოჟღავნა. სურამის თავში ძველ კარტნის ძირას ჩაუსაფრდა.

იკოლა სოსიამ, რომ ვისაც ჩაფარი და ბატონი შებოკილის წაიყვანდნენ, ის შინ ვეღარ დაბრუნდებოდა. ხეწნა-მულარაც არ გასჭრიდა გულქვა აბაზაძესთან და იმაზე უფრო გულქვა ჩაფართან.

მივიდნენ თუ არა კარტნასთან, სოსიამ ჩაფარი ამოიღო მიხანში. იგრილა თოფმა დაძირს დასცა. სოსიამ ბატონს დასკვივლა. ერეკლემ



თავი ბუჩქებში შერგო. ამ დროს აბაზაძის დამბახანაც იქეჭა, და ახოვანი ერეკლე წაიყვანა ალვის ხესავით დაინარცხა მიწაზე. სოსიამ აბაზაძეს დაუბნელდა. მკედარი მამა რომ დაინახა, გაქცეულ აბაზაძეს დაედევნა. დიდხანს არა უძებნია, იქვე ბუჩქში მიავნო და კონდახის ცემით ჩააძალა.

ორი მოჰკლა სოსიამ, მეფის მსახურნი, ის კი აღარავინ ჩაავდო არაფრად, რომ მეფის მსახურმა უდანაშაულოდ მოჰკლა ერეკლე.

იმ დროში უმტროდაც არ ღირდა გლეხის ცხოვრება, იმ გლეხს კი, ვისაც მეფე და ბატონები ემტერებოდნენ, იმ არემარეზე გაძლება აღარ შეეძლო.


ვილაცამ ურჩია სოსიას აჭარაში გაქცევა, მაგრამ მან გადაჭრით თქვა: აქ უნდა მოვესწრო მავით ვაწყვეტასო!

იმ საღამოცე მიაშურა სოსიამ ღიბის მთის ტყერებს. ამოირჩია, სადაც ყველაზე უდაბური მთა იყო, და დიძალა. არავინ იცოდა, რით ცხოვრობდა სოსია ტყეში. ეს კი იყო, რომ ხმა გავარდა: ხეთახევის მთაში კაცი იმალებოდა. მეფის მთავრობამ ბევრი სდია, ბევრი ეძება, მაგრამ ამაოდ.

— მეძებონ წიფლებისა და ფიქვების წვერებში, — ამბობდა თავისთვის ის და, აღამიანებს მოცილებული, განმარტოებით ცხოვრობდა. დიდი ხნის შემდეგ, რაკი სოსია სოფელს არ ეკარებოდა, ახალი ხმა გავრცელდა: სოსია გაგარეულდაო. ეს გაგარეულებული კაცი 1905 წელს ჩამოვიდა ერთხელ სოფელში. ერთობის ამბავი გაიგო. გაიგო და ისევე მთაში დაბრუნდა: ერთობა დამარცხებულიყო.

მეფის მთავრობამ კიდევ არ დაივიწყა სოსია. სდევნიდნენ, სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ. ბოქალის კანცელარიაში ათეული წლობით იღო სოსიას დაუყოვნებლივ შეპყრობის ბრძანება.

სულ უადამიანოდ არ ცხოვრობდა სოსია. ხეთახევის გლეხებს სიმინდები უთესიათ მთაში. სოსია ამ სიმინდებს უდგოა ღამით, უყვირის, ქაქანებს, ღათესა და მანეს უგერებს. მოტეხის დროს გლეხები თითო გოდორ სიმინდს სთავაზობენ გასამარჯლოდ. პატარა ახოვებში კარტოფილი უთესია. პატარა მდინარეებსა და ღვლეებში კალმახს იჭერს სოსია. არავისი ეშინია და არავის აშინებს. ცხოვრობს როგორც მოჩვენე-



ბა. სამჭოთა ხელისუფლება დიდი ხანია დამკვიდრდა. წლები გავიდა. სოსია უკაცოდ ცხოვრობს მთაში ნახევარი საუკუნე. გახდა, თმა და წვერი წელამდე სწვდება. წინა კბილები გაუდიდდა. კლდესა და ღრეებში ისე დაიარება, როგორც გზატკეცილზე. თოვლზე იძინებს, წვიმაში ბანაობს. სოფლებებმა გადაწყვიტეს სოსია გეთიან. გადაწყვიტეს და თავი მიანებეს. ნამდვილად კი სოსიას გული სწყდება, რომ ის ადამიანებმა დაივიწყეს და გარისხეს.

ერთხელ სოსიას მთაში ლაღუმების სროლა შემოესმა. გაგარეულებული მოხუცი მისი მწვერულიდან დაეშვა და იქ გაჩნდა, სადაც ხალხი ბუზივით ირეოდა და დინამიტის დამმარული სუნი იდგა. მოჩვენებასავით დაადკა გზის მუშებს სოსია და ჰკითხა:

— აქ რას აკეთებთ?

— გზას!

— მერე, ასე ფართო რად გინდათ? ურემი ამის მეთხედესაც დასჯერდება.

— ეს საავტომობილო გზაა, მოხუცი!

მიუგო ერთმა ახალგაზრდამ,

— ავტომობილი რაღაა?

— რომ მოვა, მაშინ გაიგებ. შენ სოსია არა ხარ? — უთხრა ისეც იმ მუშამ და თმასა და წვერებში გახვეულ მოხუცს ცნობისმოყვარეობით შეხედა. — სოსიამ შეხედვა ვერ აიტანა, შეიკუმშა, აიბურტუნა და მთას ისე შეჰყვა, რომ მუშებს შიშის ზარმა დაუარა. ამ დღიდან სოსია თვალს არ აშორებდა ამ ახალ გზას. ძლიერ უნდოდა გაეგო, ეს რა ეტლი იყო, რასაც ამ-სიფართო მოქიშული გზა და ხიდები სჭირდებოდა.

ზამთარი და გაზაფხული გავიდა. ერთ ივლინის ცხელ დღეს სოსიას ღრიალი შემოესმა. წამოდგა, გადახედა ხევს. ვერაფერი დინახა. მერმე ადგილიდან მოწყდა და შლაგუნით გზისაკენ დაეშვა. მოხვეულში შენიშნა უცნაური ეტლი — ავტომობილი. დიდის ხნის ტყეში ნაგდებმა სოსიამ კარგად იცოდა, რომ ესმაკი არ არსებობდა. ამიტომაც ადამიანისაგან არაფერი აკვირვებდა. დაღმართი ჩაიარა და გზის შუაგულში ნახევრად შიშველი გაჩერდა. შოფერმა ავტომობილი ზედ მიავლო. მოხუცი არ ინძრეოდა.

— მოგვეცალე! დაუყვია შოფერმა.

— ვერ მოგეცლები, სანამ არ ჩამაჯენ და არ წამოყვან.

მიხვედრილი მუშ. იყო შოფერი და სოსიას ამბავიც გაეგონა. სიტყვაც არ შეუბრუნა, გაგარეულებული სოსია გვერდით მოისვა და წამოიყვანა.

ავტომობილი ხაშურში გაჩერდა. სოსიამ ბევრი ათვალიერა ადგილი და ველარ იცნო. გაახსენდა: სადაც ახლა ხაშურის დიდი სადგურია, რკინისგზის შტოებით, იმ ადგილას სახნავეები და საბალახოები იყო გაშლილი.

მტკვრის პირად ჩაეიდა, თმა და წვერი მოიბანა, ახლომახლო ყანებში საღამომდე იბორიანა და იმ ღამესვე გამობრუნდა. დილით ლოხოს კოლმეურნეობაში მივიდა თავის მეგობარ ხაჩიძებთან. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ბრიგადები ალიონზე გაეგზავნა სამუშაოდ. თეი თონაც ის იყო მიდიოდა.

— გამარჯობა შენი! — მიესალმა სოსიას თავმჯდომარე. — რაზე მოსულხარ?

— გაგიმარჯოს. — მიუგო სოსიამ და თავზე ხელი წაივლო ჰქედის მოსახდელად, რაც დიდი ხანი იყო ალარ ჰქონდა, მერე მიხრწნილად ჩაილულ-ლულა:

— თქვენთან დარჩენა მინდა, მაღლა ცას გეუცეებით და ძირს დეღამიწას.

— მობრძანდი, ჩემო სოსია! ავტო სახლი, შენთვის ლუკმა არ გამოიკრდება, — დააიხედა თავმჯდომარემ და მეგობრულად მხარზე ხელი დაჰკრა. სოსია კიდევ უფრო შემფოთდა, ჩაიკეცა და, რომ უფრო გარკვევით ამოეთქვა გულის სურვილი, ხშირი წვერ-ულვაში გადაიწია და თქვა:

— სიყვით ნუ მოგაკლოს გამჩენმა და თავაკობა დაგელოცოს, მაგარამ სამოწყალო არა მჭირს რა. მე იქ მინდა, ერთად რომ მუშაობთ და ოდილას იმღერით. იქ, სხვაგან არსად.

— კოლექტივში შემოსვლა გადაწყვიტე?



სია. თავმჯდომარემ, როცა შუადღისას მიიწვიოდა, სოსიას სადილი მიართვა. **ერეკლესი**
 — გაუმარჯოს, სოსია, შენს მოსვლას **გეგმავს**
 მან.

სოსიამ უკმაპო აიღო, ღვინო მოსვა და დადგა. გერმე დიდხანს დუმობის შემდეგ თქვა:

— ორმოცდაათი წელია ღვინო გემოთ აღარ მიწახავს.

სალამოს კოლექტივი არჩევდა სოსიას წვერად მიღების საკითხს. ერთხმად მიიღეს სოსია, ხოლო როცა კრება დაიწყო, მოხუცი სოსია კუთხეში ჩამჯდარი ნახეს. ბავშვივით სლუკუნებდა. თეთრ და გრძელ წვერზე კრემლები კამარად ჩამოსდიადა. არაფერ იცოდა, რა ატირებდა სოსიას.

— ჰო, კოლექტივში, ოდიღას რომ აწობენ, ერთად რომ არიან.

— კარგი, ვთხოვოთ წვერებს, — დაპირდა თავმჯდომარე. მთელი დღე ზეინქვეშ ეგდო სო-

იზვიათი გამოფენა

სამხატვრო გალერეა ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში აუარებელ მაყურებელს იზიდავს. ყველა კმაყოფილი გამოდის გამოფენიდან, ყველას აცვიფრებს ის ოსტატობა, რომელიც საქართველოს საბჭოთა მხატვრებმა გამოიჩინეს.

რა არის ამ გამოფენის შინაარსი? რაზე ლაპარაკობენ ეს უზარმაზარ ჩარჩოებში ჩასმული, ლამაზი ფერებით შესრულებული სურათები?

ეს გამოფენა თვალწინ გვიშლის ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლებს, ამ ორგანიზაციების ბელადთა მრავალფეროვან ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ამ ერთი წლის წინ ამიერკავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელმა, სტალინის ლირსულმა მოწაფემ ანხ. ლავრენტი ბერიამ თავისი შესანიშნავი მოხსენებით საშუალება მოგვცა გვეცნობოდით იმ ბრძოლებს, რომლებსაც ეწეოდნენ ამიერკავკასიის ბოლშევიკები. ამ მოხსენებამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია ყოველ საბჭოთა მოქალაქეში, და ამ მოხსენებამ ჩანერგა უდიდესი ენთუზიაზმი საქართველოს საბჭოთა მხატვრებშიც. სწორედ ამ მოხსენების საფუძველზე შეიქმნა ეს ძვირფასი შემოქმედება.

გამოფენაზე წარმოდგენილი სურათები მოგვითხრობენ ამიერკავკასიის ბოლშევიკთა ბრძოლებს, მათი ბელადების ცხოვრებას და მოღვაწეობას. აქ თქვენ ნახავთ ჩვენი საყვარელი ბელადის სტალინის ბავშვობას, საინტერესო მომენტებს მისი რევოლუციური მუშაობიდან და სხვ.

აგერ პატარა სოსო სოფლის ბიჭებთან ერთად. ლალად მოდის. წიგნები წინ ქამარში გაუკეთებია;

მის ჯერ ბავშვურ სახეზე უკვე აღბეჭდილია მტკიც ნებისყოფა, შეუდრეკლობა. (მხატვ. ვოლგინი).

აი მხატვარ ბავშვობის ნახატი. აქ მოცემულია სემინარიისტ სოსო ჯულაშვილის სემინარიიდან გაირიცხვის მომენტი. სემინარიის რექტორი პატარა სოსოს რიცხავს სემინარიიდან იმისათვის, რომ მას აღმოაჩნდა რევოლუციური ლიტერატურა. სურათში სემინარიიდან გაირიცხულ სოსოს უშიშრად მიუჭურია ტყვიანი, შავი თვალები მრისხანე რექტორისათვის.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მხატვარ ვეფხვიანის ნახატი—არაღვეალური კრება სტალინის, კეცხოველის, წულუკიძის, შუშინიანის, ჯაფარიძის, ჩოდრიშვილისა და ბოქორიძის შემადგენლობით. ბნელ ბინას პატარა ლამფის მკრთალი შუქი ანათებს. ყვითელი შუქის ფონზე მკვეთრად მოჩანს სტალინის, კეცხოველის, ჯაფარიძის და სხვათა მტკიცე, საქმიანი სახეები.

დაუფიქრარ შთაბეჭდილებას ტოვებს მხატვარ ეამიერაშვილის ნახატი: „სტალინის გამოკვეცა ციმიბრიდან 1908 წელს“. ყველაფერი თოვლით არის დაფარული. ღამეა, მხოლოდ პატარა ქოხების სარკმელიდან გამოკრთის მბეჭუტავი სინათლე.

სტალინი ღრმა თოვლში მოაბიჯებს, მოდის ციმიბრიდან, რომ კვლავ დაანთოს ცეცხლი თვითმპყრობლობის წინააღმდეგ. გამოკვეცის მომენტი ეამიერაშვილს საუბოვოდ შეუსრულებია.

კარგ ნახატებს შორის უნდა აღინიშნოს ორდენოსან მხატვრის მ. თოიძის ნახატიც: „ანხ. სტალინი ესაუბრება გლეხებს“ (წყალტუბოში). მხატვარ ქუთათელას „მუშათა დემონსტრაცია ბათუმში



1902 წელს, მოწყობილი ამხ. სტალინის მეთაურობით, „სტალინი და ხაშიმი“—ამხ. კირაკოზოვისა. ხაშიმი აფხაზი მოხუცი მუშაა, რომელიც დახმარებას უწევდა ამხ. სტალინის არალეგალური სტამბის მოწყობასა და პროკლამაციების გავრცელებაში. სურათზე სტალინი და ხაშიმი კალათში ხილთან ერთად პროკლამაციებს ალაგებენ.

ალსანიშნავია მხატვარ შ. მაყაშვილის ნახატი: ამხ. სტალინი 1910 წ. ბაილოვის ციხეში*—აქ ამხ. სტალინი ციხის საკნიდან მიმართავს გადასახლებაში მიმავალ პოლიტიკურ პატიმრებს: გაუფრთხილ-

დით ბორკილებს, ისინი ჩვენ გამოგვადგება მეფის მთავრობისათვისო.

ყველა იმ სურათის ჩამოთვლა და აღწერა, რომლებიც წარმოდგენილია გამოფენაზე, აქ ძნელია, შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ გამოფენა დაუეციყარ შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი ნახვა ყველასათვის, და მათ შორის ნორჩი თაობისათვის, საჭირო და აუცილებელია, ეს ნახატები მათ დაუფასებელ დახმარებას გაუწიევენ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლების შესწავლისა და გაცნობის საქმეში.

რისტოვის იზაძვის ესპანეთის ხალხი

ბ. მელაძე

პირენეის ნახევარკუნძული, ირგვლივ ატლანტის ოკეანე და ხმელთაშუა ზღვა. დასავლეთით პორტუგალია, ჩრდილოეთით საფრანგეთი, — აი გეოგრაფიული მდებარეობა ესპანეთისა. სამხრეთით ესპანეთს აფრიკის მატერიკისაგან ყოფს გიბრალტარის სრუტე, შემდეგ კი იწყება ესპანეთის მაროკო. აი, სწორედ აქ, ესპანეთის მაროკოში იფეთქა პირველად ფაშისტურმა ამბოხებამ.

ეს მოხდა ამ სამი თვის წინ. სამი თვეა, რაც მრავალ წლობით და საუკუნეებით ტანჯული

ესპანელი ხალხი საკუთარი მკერდით იცავს სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას. საუკუნეების მანძილზე ესპანელი ხალხს სისხლს სწოვდნენ მტეფ და გენერლები, ვაჭრები, მრეწველები და ეკლესია. 1931 წლამდე ესპანეთში მონარქიული ფაშისტური დიქტატურა ზატონობდა. აზა ერთსეულ და ორჯერ აუწიოკებ-აა მშვიდობიანი ესპანეთის ხალხი, არა ერთხელ შეღებილი მათი უდანაშაულო სისხლით პირენეის ნახევარკუნძული.

ჯერ კიდევ 1808 წელს ნაპოლეონი შეიჭრა

ესპანეთში, მაკრამ მან ესპანეთში საშინელი მარცხი განიცადა. ნაპოლეონის წინააღმდეგ ადგილზე მთელი ხალხი, მამაკაცებთან ერთად ფრონტზე იყენენ ქალებიც.

ნაპოლეონის გენერლები ხალხის წინააღმდეგ უშუალოდ აღმოჩნდნენ, ისინი უშუალოდ და ერთერთი მათგანი, მარშალი ლანი, სწორად იმპერატორს: „ხელმწიფე! ეს სრულიად არ არის ის, რაც ჩვენ ომში ვისწავლეთ. მე არ მინახავს ასეთი შეუპოვრობა. საცოდავი ისე გააფორმებთ იბრძვიან, რომ წარმოდგენაც შეუძლებელია. მე ვხედავდი, თუ როგორ სასიკვდილოდ სწირავდნენ თავი ქალები... ეს გრუანტელის მომგვრელი ომია“.

დღესაც ერუანტელის მომგვრელი ომია ესპანეთში, ომი საშინელი, ომი დაუნდობელი, ომი მოწყობილი ქვეყნის მოღალატეების მიერ, ომი მოწყობილი ფაშისტების მიერ.

ვის ებრძვიან ისინი ან და რა სურათით მათ ესპანეთის ხალხისაგან?

„ესპანეთის მშრომელი, მეტადრე 1931 წლიდან, მედგრად იბრძვიან რესპუბლიკისათვის, მაგრამ ერთიანი ხელმძღვანელობის უქონლობა, დაქსაქსულობა ამ ბრძოლას ძლიერ უშლიდა ხელს. კომინტერნის VII კონგრესის შემდეგ ესპანეთში შეიქმნა სახალხო ფრონტი კომუნისტური, სოციალისტური, რესპუბლიკური და სხვა პარტიების წარმომადგენელთა მონაწილეობით. 1936 წლის თებერვლის არჩევნებში სახალხო ფრონტის პარტიებმა გაიმარჯვეს და შეადგინეს სახალხო ფრონტის პირველი მთავრობა“.

აი, ამ სახალხო ფრონტს და ხალხის მთავრობას, რესპუბლიკას ებრძვიან ფაშისტები. მათ სურთ სისხლში ჩაახრჩონ რესპუბლიკა, რომელიც ესპანელ ხალხს ანიჭებს თავისუფლებას და ადამიანური ცხოვრების პირობებს. ფაშისტ მემბოხეებს წინ მიუძღვიან გენერლები ფრანკო და მოლა. ისინი შეიარაღებული არიან იტალიისა და გერმანიის სამხარო იარაღებით. მაგრამ ხალხის ნებისყოფას ვერ ტეხავს ეს. ხალხი გამირულად იცავს ახალგაზრდა რესპუბლიკას, გამირულად ხედება სიკვდილს. არ ეშინია მტრის მიერ გამოსროლილი ტყვიის. იგი მკერდით ეგებება მას, რადგან იცის, რომ ამით იცავს თავის ქვეყანას ფაშისტებისაგან.

„მოგვეცით შაშხანა, ჩვენ წავალთ ფრონტზე“! — ამბობენ ისინი. და ფრონტზე ესპანეთი. ფრონტზე არიან ქალები მშრომლებთან ერთად. მერე და რა გმობენ მათ თავდადებით იბრძვიან ისინი! მათ არ იციან რა არის შიში. მათ სწამთ იდეა გამარჯვებისა, იდეა ფაშისტების განადგურებისა.

მეამბოხე ფაშისტები — ესენი ხომ შეუპოვრებული მხეცები არიან. ისინი აუწყრული ტანჯვით აწამებენ მამაკაცებს, ქალებს და ძუძუმწოვარ ბავშვებსაც კი. საწყალ უდანაშაულო ბავშვებს არ აკმარებენ იმას, რომ უკლავენ დედამას, ართმევენ მათ აღერსს და თვითონ მათაც წამებთ ხოცავენ. დღეს ესპანელ ბავშვებს დედის ტბილი ნანის ნაცვლად ტყვიების შეუწყვეტელი ზუზუნი ესმით. მაგრამ ესპანელ ხალხს, კაცს თუ ქალს, ბავშვს თუ მოხუცს, სიკვდილის არ ეშინია, ბოლონდ კი რესპუბლიკამ გაიმარჯვოს... ისინი გამირულად უკლავდებიან გერმანიისა და იტალიის იარაღებით მომარაგებულ ფაშისტ მემბოხეებს. წარმოსადგენადაც ძნელია, რამდენად შეუპოვრებულად და მხეცურად ეკურობიან მემბოხე ფაშისტები უდანაშაულო ბავშვებს და ქალებს. მოვისწინოთ ერთი წამებული ქალის ნამბობი:

„ოთხშაბათს, როცა მე ვმუშაობდი, — ამბობს ანტანია, — სახლში შემოიჭრენ ფაშისტები, კემითა და პანდურით გამოგვრეკეს სახლიდან მე, ჩემი ქალიშვილები და ორი მცირეწლოვანი ბავშვი. მემბოხეები ეფარებოდნენ ქალებს და ისე იხევენდნენ აღკისარისკენ, სადაც ისინი მიმალნენ მძევლებთან ერთად. ჩვენ ჩავვაგდეს ბნელ სარდაფში. მე წყალი მოვითხოვე ბავშვებისათვის.

— თქვენთვის წყალი არა გვაქვს, — მიპასუხეს. — ცოტა პური მაინც მომეცით, — შევევედრე მე. — არც პური გვაქვს თქვენთვის — იყო პასუხი. მემბოხეები საზიზღრად დაგვეცინოდნენ. იმ დღესვე ჩავკვედეს ბორკილებში. ჩემი ქალიშვილი ისეთ მდგომარეობაში ჩაყარდა, რომ საჭმელს ვეღარ ჰკმდა. მაშინგება მისი შეხედვა. მოვითხოვე ენახებინათ მემბოხეთა მეთაური.

— თქვენა ხართ, მუდამ უკმაყოფილებას რომ გამოთქვამთ? — მეკითხება ის. — გამათავისუფლეთ, მე არაფერში დანაშავე არა ვარ. მე მხოლოდ უბედური დედა ვარ, რომლის თვალწინ ქალიშვილი კვდება.

— აქედან ვერაფერ წავა, სანამ ცოცხალი ვარ — მიბასუხა მან. მე გული წამივიდა, ისევ წამოთრის და ჩამავდეს სარდაფში. ჩემი პატიმრობის მეათე დღეს გავიცანი ერთი მკედელი. მან მოახერხა ყალბი მოწმობით ჩვენი გაპარება სანტაფეს ალყაფისაკენ, საიდაც შეიძლებოდა მისვლა კარმენის გორაკზე. გასასვლელთან მკედელმა მითხრა — ირბინეთ, რაც ძალი და ღონე გაქეთ, თუ გამიგეს, მეც დავილუპებო. ერთი ბავშვი ჩემს ქალიშვილს მოჰყავდა, მეორე კი მე. ატყდა სროლა, მაგრამ უკვე მთავრობის ჯარები პასუხობდნენ. მტერი არაფერი მახსოვს. გული წამივიდა და დავეცი. და აი ახლა, როგორც ხედავთ, ვადარჩენილი ვარ, — დამთავრა საუბარი ამ წამებულმა ადამიანმა!

ვანა ასეთი წამებული ერთი და ორია ესპანეთში?

მეამბოხეთა მიერ მცირეწლოვანი ბავშვების, ქირებისა და ძმების ფრონტზე დაღუპვამ ესპანელი ქალები ზღაპრულ გმირებად აქცია.


ვის არ გაუგონია ესპანეთის კომუნისტური პარტიის წევრის, ბისკაელი მემბაროელის შვილის დოლორეს იბარურის სახელი, ვის არ სმენია მისი გმირული საქმეების შესახებ! მას ხომ ესპანეთში პასიონარია (ბობოქარი) დაარქვეს. დოლორესის სახელი შიშის ზარსა სცემს მტერს. სადაც ფრონტი და გაფთვრებული ბრძოლე-

ბია, დოლორესი იქ არის. იგი ბრძოლით და თავდადების ერთუზიან ნერგავს მსგავს მსგავსონარია თავის წერილში „ჩვენ გვერისა“ სწერდა: „დღეები არ სტიროდნენ, როცა აცილებდნენ თავის შვილებს, რომელნიც მიდიოდნენ, რომ სიკვდილს შეჰგებებოდნენ. ქალები მამაკაცებისაგან თავგანწირულ ვაჟკაცობას მოითხოვდნენ. ისინი ამჯობინებდნენ გმირთა ქვრევები ყოფილიყვნენ, ვიდრე ლაჩართა ცოლები“.

იბარური ამხნევეებს ფრონტზე მყოფ ქალებს. იგი დღეღობი ალერსით ეპყრობა ახალგაზრდა მებრძოლ გოგონებს. იგი ამ გადამწყვეტ მომენტებშია არ ივიწყებს თავის შვილებს რუბენს და ამალიას, რომლებიც მოსკოვში სწავლობენ. იგი თავის შვილებს მოუწოდებს სწავლისაკენ, ცოდნისაკენ, რათა ყოველივე ეს მუშათა კლასის დიდ საქმეს შესწირონ.

იბარური — გვარია ესპანელ გმირ ქალისა, რომელიც მთელ თავის პირად ბედნიერებას, პირად ცხოვრებას სწირავს მუშათა კლასის საერთო საქმეს. იბარური — ერთიანი სახალხო ფრონტის ერთ-ერთი სულისჩამდგამელია.

ესპანეთის დემო და ძმებო, ჩვენ თქვენთან ვართ. მთელი ჩვენი ქვეყანა თვალყურს ადევნებს თქვენს გმირულ ბრძოლებს. თქვენ გაიმარჯვებთ, ამახანაგებო, რადგან ისტორიული სიმართლე თქვენს მხარეზეა!



ი ა ჩ ხ ა ი ძ მ

საშინელი ხმით ზანზარებდა ქალაქი „ირუნი“. ზან აქ და ხან იქ ჩამოვარდებოდა ყუმბარა. ფაშისტების თვითმფრინავები უმეტესად მუშათა უბნებს იღებდნენ მიზანში და შეუბრალებლად ანადგურებდნენ მშენებელ ქალაქს. ირგვლივ თოფების გრილი და ტყვიამფრქვევების კაცანი ისმოდა. ვარბოდა ხალხი, მაგრამ ვინ იცის საით! ყოველ კუთხეში სიკვდილი იყო მოსალოდნელი...

პაულ იჩინო ამ ქალაქში დაიბადა და წამოიზარდა. დედ-მამა ადრე დაეხოცა პაულს. მამა რომელღაც ქარხანაში თვლებში მოჰყვა. დედა ქვლეჭა იმსხვერპლა. პაული უპატრონოდ დარჩა. ბოლოს მამამი-

სის ნაცნობმა პიეტრო ვალერომ აღმოუჩინა დახმარება და ქარხანაში მოაწყო მუშად.

პაულს უყვარდა ეს ქალაქი, მით უფრო მუშათა უბნები, მაგრამ დღეს მტერი ანგრევდა მას. აი დეცა ყუმბარა იმ სახლს, სადაც პაულმა წერაკითხვა ისწავლა. აი ცეცხლის აღში გაეხვია მეორე შენობა — მუშათა თეატრი.

— წყეულები, მხეცები! — ზიზღით ამბობდა პაული და ვილაყას დაქებდა. უეტრად მის წინ ახოვანმა ახალგაზრდამ ჩაიარა. იგი იარაღში იყო ჩამჯდარი. პაულს თვალები გაუბრწყინდა, პიეტრო ვალერო იცნო. მიუხედავად ახალგაზრდობისა, პიეტ-



რო სახელგანთქმული მეთაური იყო სახალხო მილიციაში. პაული წინ დაუდგა ახოვან კაცს...

— სალამი, პიტრო!

— შენა ხარ, პაულ? რა ამბავია ჩვენს უბანში?

— ჩვენ სკოლას ყუმბარა დაეცა და დაინგრა კი— დეც.

— სხვა?

— თეატრიც დაიწვა.

სახე მრეკლრუბლა პიტროს.

— მე შენ გეტყობი, პიტრო. ბევრი გეტყებე...— დაიწყო მღელვარებით პაულმა.

— რა გინდა?

— პიტრო, მილიციაში ჩაწერაზე თარი მითხრეს. მომეხმარე, ბავშვი არ ვარ, მომეცი თოფი, თქვენთან წამოვალ მეც მინდა ვიბრძოლო!

პიტროს გაეცინა.

— არა, პაულ... შენ ბრძოლა არ შეგიძლია. მარტო სურვილი არ კმარა...

პიტრო ჩაფიქრდა.

— მაგრამ გიშოვი საქმეს... შენ მარჯვე ბიჭი ხარ...

სწორედ ისეთ საქმეს გიშოვი, შენ რომ შეგვეფერება, მაგრამ მარტო ვერაფერს გახდები, ამხანაგები მოაგროვე, გესმის?

— მესმის, მაგრამ რისთვის?

— აი რისთვის, პაულ: მტერი შეუბრალებლად გეებრძვის. ჩვენც ვიბრძვით, მაგრამ ვახედე, რამდენი დაჭრილი მოჰყავთ საკაცეებით... ზოგის ვადმოგზავნას ვერც კი ვახერხებთ, ხალხი არ გეყოფნის. თქვენ კი ეს შეგიძლიათ. იგეც დახმარება და ძალიან დიდი დახმარებაც...

პაულს თვალები გაუბრწყინდა.

— კარგი!— მიუგო მან სიხარულით და გაიქცა.

ნადგურდებოდა მშვენიერი ქალაქი. აღარ ჩვენი შენა... ბრალემა. ფაშისტებს ყოველმხრივ მოჭეხნულმა ჩეხსკა... რიშები. სახალხო მილიცია და მუშათა რაზმები თავ-განწირვით ებრძოდნენ მტერს, მაგრამ უთანასწორო იყო მათი ბრძოლა. ყველგან ცეცხლი და კვამლი იდგა. შეშინებული ქალები და ბავშვები გარბოდნენ...

სამხედრო ჰოსპიტალი იესებოდა დაჭრილებით. პაული და მისი ამხანაგები თავგანწირვით ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. ოთხნი იყვნენ. სწრაფად გადაჭონდათ საკაცეები მახლობელ შენობაში. ისე გატაცებული იყვნენ ამ საქმით, რომ ვერც—კი ამჩნევდნენ, თუ როგორ ზუზუნებდა ტყვიები მათ გარშემო.

— აბა თქვენ იცით, ახალგაზრდებო, — მიმართა მათ შეღამებისას ერთერთმა ექიმმა და საკაცეზე მიუთითა, — აი ეს დაჭრილი სწრაფად წაიღეთ ჰოსპიტალში. ვინ არის თქვენი მეთაური?

— მე, — წამოძვდა წინ პაული.

— სახელი და გვარი?

— პაულ იჩინო.

ექიმმა რაღაც ამოიკითხა.

— აბა, ვიცო... ეს წერილი წაიღე... მთავარ ექიმს გადაეცი.

სანიტრებმა კიდევ მოიტანეს საკაცეები.

— აბა იჩქარეთ! — ბრძანა ექიმმა და დაჭრილებს მიუბრუნდა.

ბიჭებმა მარდად დაავეს ხელი გასისხლიანებულ საკაცეს. დაჭრილს სახე არ უჩანდა. არც კენესოდა. ბიჭები ფრთხილად მიარბენიებდნენ საკაცეს.

ჰოსპიტლის წინ ტევა არ იყო. ერთმანეთში ირეორდა ტირილი დედებისა, კნესა დაჭრილებისა. პაული თავისი ამხანაგებით შენობის კიბესთან შეჩერდა. საკაცე იქვე დადგეს.

— აქ არ შეიძლება, — მიმართა მათ ჰოსპიტლის მთავარმა ექიმმა. — დაჭრილებს ახლა აი იქ ღებულობენ — და მაღალ შენობაზე ანიშნა.

— არა, ექიმო, ეს დაჭრილი თქვენთან გამოგზავნეს და ვთხოვენი სასწრაფოდ აღმოუჩინოთ დახმარება. აი წერილიც.



ექიმმა სწრაფად გამოართვა წერილი, წაიკითხა, სახე მოეღრუბლა.

— აიღეთ საკაცე, აქ შემოიტანეთ, — ბრძანა მან. ბიჭებმა მარდად აარბენიეს იგი კიბეზე და ფართე ოთახში შეიტანეს. რაც იქ ნახა პაულმა, დაუჯერებელი იყო მისთვის. საშინელი ხმით კენესოდნენ დაჭრილები.

აქ აკეთებდნენ სასწრაფო და სერიოზულ ოპერაციებს.

ექიმის მითითების თანახმად საკაცე მაგიდაზე დადგეს. ბიჭები შორიანხლო გაჩერდნენ. ექიმის თანაშემწემ ნელა ახადა საკაცეს გასისხლიანებული ზეწარი, და პაულმა მწარე ხმით დაიფიქრა:

— პიეტრო!

— მოითმინე, ახალგაზრდაე, — გადმოხედა ექიმმა პაულს, მის წინ პიეტრო ვალერო ესვენა თავისი გმირული სახით. პაულს იგი მკვდარი ეგონა. სახე გაჰფითრებოდა. გასისხლიანებული იყო მთლიანად. არ ინძრეოდა. გასინჯა ექიმმა, თავი გადააქნია.

— სისხლიდან დაკლიდან... — ჩაილაპარაკა.

— მკვდარია, ექიმო?

ექიმმა არაფერი უპასუხა და ბრძანა — მეორე ოთახში გაიტანეთო.

სანიტრებმა საკაცე მეორე ოთახში გაიტანეს. პაულს ცრემლებით გავესო ცოცხალი თვალები. მაშ მოკვდა მისი პიეტრო ვალერო? დაიღუპა საუკეთესო გმირი ახალგაზრდა?!

— ჰოი, წყველო ფაშისტები!

პაულს აღარაფერი ესმოდა. გაეზღა ნახევარი საათი. გარეთ, ისევ გრიალებდნენ ზარბაზნები. უცრად ახალგაზრდებმა დაინახეს სახედაღერმილი ექიმი. პაული პირველი მივარდა მას.

— ძია, როგორ არის პიეტრო, ცოცხალია? მორჩება?

— თქვენ იცით ვინ არის იგი? — ჰკითხა ექიმმა ახალგაზრდებს.

— ვიცით, — ერთხმად უპასუხეს.

— პიეტრო ვალერო, სახელოვანი სახალხო გმირი... კომუნისტი... დღეს იგი უკანასკნელ დღეშია... შექველად სიკვდილი მოელის. ოჰ, წყველი ფაშისტები!

— არ მორჩება?

ექიმმა ნაღვლიანად გადახედა პაულს, რომელსაც თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, და მხარზე დაადგა ხელი.

— შენ არ იცი, ჩემო კარგო, რას ნიშნავს სისხლის დაკარგვა... ის დაკლილია სისხლიდან, მისი გული სუსტად მუშაობს. სხვისი სისხლია საჭირო, რომ მან ძალა მოიკრიბოს და ოპერაციას გაუძლოს. წადით, ახალგაზრდებო, სხვას უშველეთ, პატარა გმირებო... სხვებს მიხედეთ.

ექიმი გატრიალდა.


შეჩერდნენ ბიჭები, ერთმანეთს გადახედეს. პაული ჩუმად იდგა, სახე უბრწყინავდა, მისი თვალები ვარსკვლავებვით ციალებდნენ. უცრად იგი გაიქცა ექიმისაკენ, კარებთან მიუსწრო, ფრთხილად შეახო ხელი.

— ექიმო!

შეჩერდა ექიმი, პაულს გადმოხედა.

— რა გინდა, ახალგაზრდა?

— აი, ექიმო, მე გამართვი სისხლი... აქა ვარ... მხოლოდ პიეტრო ვადარჩეს... მალე, ექიმო, მალე... ექიმს თვალები ცრემლებით ავესო, თავზე ხელი გადაუსვა გმირ ესპანელ ბიჭს და მუბლზე აკოცა.



როლოკის იბაჩუს

შ. სამადაშვილი

იბარურო,
გმირო ქალო,
ქედს არ იხრი მტრის წინაშე,
გრიგალივით დაუმცხრალი,
იცავ სახლებს შრომით ნაშენს!
გრძნობით აპყრობ
გმირულ თვალებს
ვინც ხალხისთვის თავსა სწირავს,
მიწა გმინავს,
ცა ტრიალებს,

დროშა მინც მხნედ გიჭირავს.
დარჩები ვით სიამაყე
მთელ მსოფლიოს ქალთა შორის,
ფაშისტების ძალას არყევ,
მათ სიკვდილის დაჰკარ ტორი!
იცავ ბავშვებს,
მტირალ დედებს,
უშრეტა შენი ძალა,
დატანჯულთა მოიმედევ,
მაგ გმირობას ბარაქალა!



სალამო სივრუსაბი

(წერილი ლენინგრადელ პატარა მეგობრებს)

მიმქრალი

ბილიკზე ატურდა
 ნიაფი სრიალით,
 სიმღერით მიეყვებით
 ფოთლების შრიალს.
 მზე თითქო დაიხრჩო,
 სხივების ციალი
 კანკალით ჩაეკრა
 ზვირთების ჩხრიალს.
 ქვიშა ჰგავს ჩუქურთმის
 ბრჭყვიალო ქალაქებს,
 ლაქვარდში ვარსკვლავნი
 კრთიან და ელავენ,
 ზღვა შორს მიაქროლებს
 მხიარულ ხომალიდებს,
 ჩვენი ციტრუსებიც
 ზღვასავით ლელავენ.
 რამდენი ფერია,
 რამდენი,
 რამდენი...
 ბილიკებს გავივლით,
 დინჯი ნაბიჯებით.
 კიდიან-კიდემდე ლიმონი...
 ფორთოხლები...
 ოქროს ზოდებივით
 დგანან ნარინჯები.

ჩვენ გვითხრეს: ლენინგრადში
 ქარხნების ბურია,
 არ არის ბაღები,
 ჩაა და ვენახები.
 მოდით, ინახულეთ
 ეს ჩვენი გურია,
 მაღლა ბაზმარო და
 ზუჯი კალმახებით.
 რამდენი ფერია,
 ნაზი და პრიალა,
 მთებიდან ზღვამდე და
 აკარის კარამდე!
 გვაცნობეთ: ამ ზაფხულს
 ჩამოხვალთ თუ არა?
 სანამდე გელოდეთ,
 სანამდე, სანამდე?!
 სალამო ციტრუსებში
 მეტად ლამაზია,
 ჩვენ ისევ ვუსკქერით
 ზვირთების ჩხრიალს.
 მთავრე გადმოხედავს
 ბაღებს თავაზიანს,
 სიმღერით მიეყვებით
 ფოთლების შრიალს.



ფარაონის სუნჯე

და ხუროთმოძღვრის საფუძვლი
განაღობა



საიერემოოება

შალვა მარიანიშვილი

სამიათას ას ოცდაათი წლის წინათ ქალაქ ფიფში ცხოვრობდა ერთი ფარაონი, სახელად რამესუ მე-ხუთე. ამ ფარაონმა საქვეყნოდ ვაითქვა სახელი თავისი აურიცხავი სიმდიდრით და... სიძუნწით. თუ ფიფის სხვა ფარაონებს (მეფეებს) საცხოვრებლად მდინარე ნილოსის მარჯვენა ნაპირზე—„ცოცხალთა ქალაქში“—სასახლეები ჰქონდათ აგებული, რამესუს საცხოვრებლად ნილოსის მარცხენა ნაპირი ჰქონდა არჩეული და „მკვდართა ქალაქში“ იყო დასახლებული თავისი ცოლშვილით. აქ ჰქონდა მას აგებული საარაკო სიდიდის სასახლე—ტაძარი.

სასახლე მიწის ზედაპირზე იყო აგებული, მის ქვეშ კი უზარმაზარი ტაძარი იყო მოთავსებული. ტაძარი სამი დიდი დარბაზისაგან შედგებოდა, რომლებიც სხვადასხვა დანიშნულებას ემსახურებოდნენ. პირველ დარბაზში იდგა კერპების ოქროს და ბრინჯაოს ქანდაკებები. ამ დარბაზში ფარაონი ყოველდღიურად, შზის ამოსვლის და ჩასვლის ყამს, ლოცულობდა და სწირავდა მსხვერპლს თავის ღმერთებს. მეორე დარბაზში იდგა ბრილიანტებით მოქედილი ორი ოქროს სასკოფავი (ქუბო)—ერთი ფარაონისათვის, მეორე—მისი მეუღლისათვის; მესამე დარბაზში კი ინახავდა თავის აურიცხავ სიმდიდრეს: ოქრო-ყერცხლს, ბრილიანტს, მარგალიტს, მზატვრულად შესრულებულ ძვირფას ნივთებს, იარაღებს და სხვა. ასეთი იყო მიწისქვეშა ტაძრის დანიშნულება. ზევით, სასახლეში კი ცხოვრობდა ფარაონი თავისი ცოლშვილით და იქვე იღებდა თავის ვეზირებს. სასახლის შესავალთან ფარაონის ვეება ქანდაკება იყო აღმართული, გამოკვეთილი მშვენიერ ვარდისფერ ქვისაგან. ქანდაკების წინ მარჯვნივ და მარცხნივ წითელი გრანიტის მაღალი ობელისკები (სვეტები) ელვარებდა, რომელთა თავები ოქროს პატარა პირამიდებით იყო შემკობილი. ობელისკების კედელზე ამოჭრილი იყო იეროგლიფები—ეგვიპტური წარწერები, რომლებიც მნახველებს მოუთხრობდნენ, როდის იყო აგებული სასახლე—ტაძარი და რომელ ფარაონს ეკუთვნოდა. ობელისკებიდან იწყებოდა სფინქსების გრძელი ხეივანი. ხეივნის ბოლოს მოჩანდა ხელოვნურად გაკეთებული ტბა, რომლის ნაპირები აფერადებული იყო მრავალნაირი ტროპი-

კული მცენარეულობით, პაპირუსებით და ლოტოსის ყვავილებით. ტბა ფართო არხით იყო შეერთებული მდინარე ნილოსთან. ამ არხით სარგებლობდა ფარაონი „ცოცხალთა ქალაქში“ გასამგზავრებლად.

ფარაონს შემოსავალი წყარო აუარებელი ჰქონდა. ერთის მხრივ - შინაური შემოსავალი (გაორდა სახელმწიფო გადასახადებისა, ეგვიპტელებს ათიათასობით ამუშავებდა მალაროებში და მიწის ნიადაგიდან იღებდა ძვირფას ლითონებსა და ქვებს). მეორე მხრივ—დაპყრობილ ქვეყებიდან ყოველწლიურად დიდი ხარკი შემოჰქონდათ. ხარკი უნდა მოეტანათ ოქროთი, ზოდებად ჩამოსხმული, და წონით ჩაება რებიათ. ფარაონი მიღებულ ოქროდან ნაწილს ზოდებად ინახავდა, ნაწილისაგან კი აკეთებდა სხვადასხვა ძვირფას ნივთს და ბუქტებს—ფულებს. (იმ დროს ეგვიპტეში ოქროს ბუქტებს ფულს მაგვირად ხმარობდნენ), იმის მაგივრად, რომ ეს აურიცხავი სიმდიდრე ქვეყნის სასარგებლოდ მოეხმარა, ტაძრის დარბაზში ინახავდა და თავისუფალ დროს მათი ცქერით ტკებობდა.

ხალხმა თანდათან შეიძულა ხარბი ფარაონი და მეტ სახელად „ძუნწი ფარაონი“ დაარქვა...

ღრო ვადიოდა, განმს განძი ემატებოდა, და ერთ მშვენიერ დღეს ფარაონმა დაინახა, რომ დარბაზში განძი აღარ ეტეოდა. მან გადაწყვიტა ახალი დიდი განძსაფრის აგება. გადაწყვეტილების შესრულება თავის სახელგანთქმულ ხუროთმოძღვარს დაავალა. ხუროთმოძღვარმა შეადგინა გეგმა, გაამზადა ნახაზები და შეუდგა ფარაონის საუნჯისათვის განძსაფრის აგებას. შენობის აგებაზე ყოველდღიურად ხუთიათასი კაცი მუშაობდა. ძუნწი ფარაონი მუშების შრომის საფასურს არაფერს აძლევდა და იძულებით წესით ხალხს რიგრიგობით ამუშავებდა. ერთი წლის შემდეგ ხალხის ოფლით და სისხლით ახალი განძსაფრის აგება დამთავრდა. განძსაფარი ერთი უზარმაზარი გრძელი დარბაზისაგან შედგებოდა, რომლის ერთი კედელი ფარაონის სასახლის ჩრდილოეთის კედელთან იყო შეერთებული, სადაც შესავალი ჰქონდა გაკეთებული. სხვა მხრიდან არც კარები ჰქონდა და არც ფანჯრები. გარშემო კედლების შეტი არაფერი მოჩანდა. სახურავიც უზარ-

მზარი ქვებით იყო გადახურული. ერთადერთი შე-
სავალი, რომელიც სასახლეს კედლიდან ჰქონდა გა-
კეთებული, ხუთი რკინის კარისაგან შედგებოდა.
ყოველ კარებს საკუთარი ვასალები ჰქონდა. მისი
კედლების ქვები ორ-ორი კუბიკური მეტრის მოცუ-
ლობისა იყო და ერთმანეთთან შედლებული. კედ-
ლების ზედაპირი ფერადი გრანიტით იყო დაფა-
რული და სარკესავით გაკრიალებული. გარეკანზე
ამოჭრილი იყო იეროვლიფები და ღმერთების სუ-
რათები. სურათები დაფარული იყო ძვირფასი სა-
ღებავებით. ფარაონს თავისი ახალი განმსაფარი
ძალიან მოეწონა და ხუროთმოძღვარი უხვად დაა-
ჯილდოვა. მეორე დღეს მთელი თავისი საუნჯე ახალ
განმსაფარში გადაიტანა.

ამის შემდეგ გავიდა რამდენიმე წელი. ერთხელ
ხუროთმოძღვარს უბედურობა დაატყდა თავს: ერთ-
ერთი შენობის აგების დროს ჩამოვარდნილია ლოდ-
მა ორივე ფეხი დაუშვა და ლოგინად ჩაავლო.
მოხუცმა ხუროთმოძღვარმა ივრძნო, რომ მისი სი-
ციკლის წუთები დათვლილია. დგებოდა ჟამი
„ოზირისის სამეფოში“ ვამბახურებისა — მარადიუ-
ლი სიცოცხლისათვის. სიკვდილის წინ მოიხმო თავისი
ვაჟები ფთავმაი და ფეთიზი, ცოლს კი სოხო-
ვა მცირე ხანს მარტო დაეტოვა შვილებთან.

— ძვირფასო შვილებო ფთავმაი და ფეთიზ! —
მიმართა მომავლავმა თავის შვილებს, როცა ისინი
მარტო დარჩნენ. — მე ვრგძნობ, რომ სიკვდილი მიახ-
ლოვდება და ჩქარა დავტოვებ... დადგა დრო
წარსდგე ოზირისის სამსჯავროს წინაშე... მაგრამ
სიკვდილის წინ მინდა ერთი საიდუმლოება გა-
გაცნოთ, საიდუმლოება, რომელსაც რამდენიმე წლის
განმავლობაში მხოლოდ მე ვინახავდი...

თქვენ იცით, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ
ფარაონს საუნჯის შესანახავად განმსაფარი აფუგე...
სხვების შეუშინველად მას საიდუმლო შესავალი
გაუფუკეთე... მაგრამ, იცოდეთ, მე მით არასოდეს არ
მისარგებლნია. თუ თქვენ ოდესმე უმწყო მდგომარე-
ობაში ჩავარდეთ და თქვენი მოსიყვარულე დედა
გაქირებულნი დიანხვით, მაშინ შედით განმსა-
ფარში და გამოიტანეთ იმდენი, რამდენიც თქვენ-
თვის საჭირო იყოს... მოხუცი შეჩერდა და ჩაფიქრ-
და. ეტყობოდა, საიდუმლოების გამოძლავლება უმ-
ძიმია: ვი თუ ამით შეიღობო და ელეუბო—გაეთქვა.
შვილები კი მოუთმენლად უცდიდნენ, თუ რას იტ-
ყოდა შემდეგ მათი მამა. განსაკუთრებით მოუთმენ-
ლობას იჩენდა უმცროსი შვილი ფეთიზი. ის გაბრ-
წყინებული თვალებით, სმენავამახვილებული შეჭ-
ყურებად მამის ტუჩებს.

— ჩრდილოეთის მხრით, — დაიწყო მოხუცმა, —
განმსაფარის კედელზე, შუა ადგილას არის დახა-
ტული ოზირისის სამეფო ტახტზე. ოზირისის უკან
დგას იზიდა, იზიდას გვერდით კი მისი და — შვე-
ნიერი ნებთი. საკმარისია დააწვე ნებთის მარცხენა

ფეხს, რომ ლოდი, რომელზედაც ეს სამეფო ტახტი
განსახიერებული, შემოტრიალდეს. ეს ლოდი ტრე-
ზე არის დადგმული და იგი თავისივე წინა-
შემოდ ტრიალებს, თუმცა ორას ფუტს იწონის.
დახურვის დროს დააწვეთ ოზირისის ტახტის მარ-
ჯვენა ფეხს, — და ლოდი თავის ადგილას დაბრუნ-
დება... მხოლოდ გახსოვდეთ, როგორც ვითხარით,
განმსაფარში შედით უკიდურეს შემთხვევაში. ახ-
ლაკი მომიხმეთ დედათქვენი!

ღამით მოხუცი ხუროთმოძღვარი გარდაიცვალა.

ფეთიზი საუნჯეზე ოცნებობს

ფეთიზმა მთელი ღამე მოუცენრად გაატარა. ერთ
ადგილას ვერ დგებოდა, ოთახებში დაბრალილობდა,
ხელებს უტანაუბრად შლიდა და თავისთავს ელაპარა-
კებოდა. იქნებ მკითხველს ჰგონია, რომ ფეთიზი მა-
მის დაკარგვას დარდობდა? არა, ფეთიზს სხვა რამ
აწუხებდა. მისი ოცნება ფარაონის სასახლეს თავს
დასტრიალებდა, საუნჯის ხელში ჩაგდების სურვი-
ლი მოთმინებას უკარგავდა და გულს უწყალებდა.
ოჰ, რა საშინლად უნდოდა წასულიყო და მამის
ნათქვამი შეემოწმებია; საკუთარი თვალთ ენახა ის
მშვენიერი ქვა, ბედნიერების ვასალები. მაგრამ რა
იქოდა საბრალომ, რომ ის ქვა მისთვის ერთი
წლის შემდეგ საბედისწერო გახდებოდა.

სახლში გული არ დაუდგა, დედის ტირილს ვე-
ლარ გაუძლო. გარეთ გამოვიდა. ნათელი და მშვე-
ნიერი ღამე იყო. ეგვიპტეს მარადულად მოწმენდილ
ციდან პირბადრი მთვარე ოქროსფერ მიწას უხვად
უგზავნიდა მზისაგან მოტაცებულ სხივებს. ჰაერში
აჯაციის და ლოტოსის საამური სუნე ტრიალებდა.
შორიდან ნიავს ნილოსის ნელი ხმაური მოჰქონდა.
ეს ხმაური ადამიანს ყურში დედის ნანასავით ჩას-
ჩურჩულებდა, სმენას ატკობდა და ეალერსებოდა.

— ოჰ, რა მშვენიერი ღამეა! — აღმოხდა უნებლიედ
ფეთიზს. ნილოსის ხმაურს ყური მოჰკრა და მისაკენ
მიმე ნაბიჯით გაემართა, თითქოს ნილოსისაგან
მოელოდა აფორიკებული გონების დაწყნარებას და
სულიერი სიმშვიდის დაბრუნებას. ახლოს მივიდა,
ჯებირს იქით გადინებდა. ნილოსი ვერცხლის გველე-
შამივით მიიკლანკნებოდა და თერთ ზვირთებს მია-
გორებდა. ხანდახან ნილოსი დაიჭმინებდა, თავის
მძლავრ ტალღებს ჯებირს შემოსტყორცნიდა. მთვა-
რის შუქზე მისი ტალღები ჰაერში მარგალიტები-
ვით იფრქვეოდა, დაბლა ეშვებოდა და მდინარეს
ქონარს უყენებდა... ფეთიზმა მოპირდაპირე მხარ-
ის გაყოლა თვლიდა უხარბაზარ ტაძრებს შორის
ფარაონის მალაქის სასახლე ადვილად მოძებნა.

— აი, იქ, იმ სასახლის კალთებთან იფარება ფა-
რაონის საუნჯე, რომელსაც ჩქარა მე დაევატრო-
ნები... ფარაონი კი ვერ გაიგებს ვინ მოსტაცა
საუნჯე... ხა-ხა-ხა! ძუნწს ცხვირწინ საუნჯე უნდა

ავართვა! რა ბედნიერი კაცი გავხდები, რა ბედნიერი!

ალტატებულმა ფეთიზმა ტაში შემოკრა და გამოერკვა. შემინებულმა იქით-აქით მიმოიხედა, ყურს ხომ არაინ მივდებსო. აფორიაქებული გონების დასაშვინებლად ჯვების აჩქარებული ნაბიჯით გაჰყვა. ოცნებაში გართულმა მთელი ღამე ნილოსის ნაპირზე გაატარა. დილით ნავი დაიქირავა, მეორე ნაპირზე გადავიდა და ფარაონის სასახლისაკენ გაემართა. გულმა აღარ მოუთმინა, დარბაზის ნახვა მოინდომა. სასახლე ნაპირიდან ორი კილომეტრით იყო დაშორებული. „მკედართა ქალაქი“ გამოვლენიდა და ხმაურობდა. ქურუმებს ტაძრების კარებები გაუღოთ და ამომავალ მშეს გალობით და არფებზე დაკრით ესალმებოდნენ და ადიდებდნენ. ფეთიზი ცდილობდა შეუშენვლად გაველო და ტაძრებს მოხერხებულად გვერდს უვლიდა. როგორც იქნა, სასახლეს ადგილს მიაღწია. სასახლეს ჩრდილოეთის

მხრით შემოუარა და გრძელ ოთხკუთხედ შერობს წააწყდა. „აი, ეს არის, ეს! აქ იფარებო, გვეწმენდის წყარო“ ჩაილაპარაკა გახარებულმა და მისი ხარბი თვლით შეათვალიერა. შუა კედელზე ოზირისი დაინახა, მის უკან იდგა იზიდა, შემდეგ კი ნებფი. სწორედ ისე, როგორც მამამ აუხსნა... როგორ მოიქცეს, ახლოს მივიდეს? ხელით შეხოს? რომ მკველგება დაინახონ? მაგრამ ჩქარა შეამჩნია, რომ ქვა საკმაოდ მაღლა იყო გაკეთებული. ადამიანს მისაწვდომად კიბე უნდა მოეშველებია. ფეთიზი ცოტახანს ჩაფიქრდა, შემდეგ მივიდა და კედლის კუთხიდან ნაბიჯების გადათვლა დაიწყო. შუა ადგილამდის ოცდათორმეტი გამოუვიდა. რომ არ შეშლოდა, კვლავ გადათვლა და კვლავ იმდენივე მიიღო. დიდხანს უტრიალებდა შერობას გარშემო, ადგილმდებარეობას ათვალიერებდა. უნდოდა გაეგო, საიდან შეიძლებოდა მოხერხებულად მისვლა, რომ არავის შეემჩნია. შინ კმაყოფილი დაბრუნდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

პეხიკა და პეხიქელა*)

(თარგმნა გრიმიდან ნ. ლ-ქემ)

ამ დროს პეტრიცელას შინ მიცვალებული ჰყავდა: ბებია მოკვდამოდა; მართალია, ბებია სიცოცხლეში ძლიერ ცუდად ექცეოდა თავის შვილიშვილს, მაგრამ სიკვდილმა მაინც შეაწუხა პეტრიცელა. მან ჩააწვინა ცხედარი თბილ ლოგინში, ეგებ, ვინიცმბაა, ისევ გამობრუნდესო. განხრახვა ჰქონდა, რომ ის მთელი ღამე ამ მდგომარეობაში გაეჩერებინა და თითონ კი კუთხეში სკამზე მჯდარიყო — უწინაც ხშირად სძინებია ამგვარად.

უცებ ღამით, როცა პეტრიცელა იჯდა და უღარაჯებდა ბებიას, კარი გაიღო და შემოვიდა პეტრე ნაჯახით. რადგან კარგად იცოდა სად იდგა პეტრიცელას ლოგინი, პირდაპირ მასთან მიიქრა და ხეთქა თავში ბებიას, მზონა მტერი მოკალიო.

— აჰა, ესეც შენ, აწი ხომ ვეღარ ამივდებ მასხრად! თქვა და გაბრუნდა.

— დახე, რა ბოროტი ყოფილა, — იფიქრა პეტრიცელამ, — ჩემი მოკვლა უნდოდა... კიდევ კარგი, რომ ბებია ისედაც მკვდარი იყო, თორემ, შენი მტერია, გამოასალმებდა საწყალს წუთისოფელს.

*) დასაწყისი იხ. „ბიონერის“ № 8-9.

პეტრიცელამ მიცვალებული სადღესასწაულოდ გამოაწყო, ინათხვრა მეზობლის ცხენი, შეაბა ურემში, ბებია ურემის ბოლოს იმნაირად დასვა, რომ არ ჩამოვარდნილიყო, და გაუღდა გზას. ტყე-ტყე იარეს. როცა გათენდა, ისინი ერთ დიდ სასტუმროს წინ გაჩნდნენ. პეტრიცელა აქ შეჩერდა, რომ ცოტა რამ ეკმა. სასტუმროს პატრონს ბევრი, ძლიერ ბევრი ფული ჰქონდა. ამასთანავე ის ძალიან კეთილი კაცი იყო, მაგრამ ისეთი ფიცხი იყო, თითქოს პილითა და წინმატით ყოფილიყო გატენილი.

— გამარჯობა! — უთხრა მან პეტრიცელას. — დღეს ძალიან ადრე გამოსულხარ..

— ჰო, — მიუგო პეტრიცელამ — ქალაქში ბებია მიიყავს... აქ ვერ შემოვიყვან და, თუ შეიძლება, იქ წაუღე ერთი ჭიქა თაფლი, ურემზე ზის... მაგრამ რაც შეგეძლოს ხმამაღლა ელაპარაკე, თორემ ყურზე უკაცრავად გახლავს.

— ბატონი ბრძნდები, — თქვა სასტუმროს პატრონმა, დასხვა ერთი დიდი ჭიქა და გაუტანა მკვდარ დედაბერს, რომელიც გარეთ იჯდა ურემში.

— აი, თქვენმა შვილიშვილმა მოვართვათ ერთი ჭიქა თაფლი, — მიმართა სასტუმროს პატ-



რონმა. მიცვალეულს, რასაკვირველია, სიტყვაც არ ამოუღდა.

— გესმით? — დაიყვირა სასტუმროს პატრონმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა. — თქვენმა შვილი-შვილმა მოგარაუფათ!.. — ეს სიტყვები მან რამდენჯერმე წამოიძახა, მაგრამ რადგანაც ბებია უძრავად იყო, მოუვიდა გული და სახეში ესროლა სავსე ჭიქა. მიცვალეული ძირს დაეცა, რადგან ურემზე მიბმული არ იყო.

— ვაიმე, ვაიმე! — დაიღრიალა პეტრიცელა, გამოვარდა სასტუმროდან და ჩასჰიდა ხელი სასტუმროს პატრონს: — რად მომიკალი ბებია? შეხე, შუბლი გაგიმტვრევია!

— უჰ, რა უბედურება მომივიდა! — წამოიძახა სასტუმროს პატრონმა, იტაცა თავში ხელი. — სულ ჩემი სიფიცხის ბრალია! ჩემო პეტრიცელო, ერთ დიდ ჩანახ ფულს მოგცემ, ბებიასაც ისე დაგიცავლავებ, თითქო ჩემი მკვიდრი ბებია იყოს, ოღონდ, შენი ჭირიმე, გაჩუმდი, თორემ, შენი მტერია, მე თავს მომიკვეთენ და შენ რა გაგიკეთდებო.

პეტრიცელამ მიიღო ერთი დიდი ჩანახი ფული, ბებია კი სასტუმროს პატრონმა ისე დაასაფლავა, თითქო საკუთარი მისი ბებია ყოფილიყოს. ამდენი ფულის პატრონი პეტრიცელა შინ რომ მივიდა, ისევე გაუგზავნა ბიჭი პეტრიცას სარწყავის სათხოვრად.

— ეს რა ამბავია? — იფიქრა პეტრიცამ — აკი მოკალი? წავალ, ერთი, ჩემის თვალთ ვნახო — თქვა და თითონ წაუღო პეტრიცელას სარწყავი.

— ფუ, დაგლახვროს გამჩენმა, საიღონ გე-
შოვნია, კაცო, ამდენი ფული? — იფიქრა მან და
რომ ნახა კიდევ რა სიმდიდრე მისმა ტანსაცმელმა
ტრიცელას, კარგად გამოიფუნა თავლები,
სიზმარი ხომ არ არისო.

— მე კი არ მოგიკლავარ, ბებიანემი მოკალი, — მიუგო პეტრიცელამ. — მიცვალეული გავიყიდე და ერთი დიდი ჩანახი ფული ავიღე.

— ძალიან გავიყიდა! — თქვა პეტრიცელამ, გასწია შინისაკენ, წავლო ხელი ნაჯახს, მოკლა თავისი ბებია, დასდო ურემზე, ჩიტიანა ქალაქში, შევიდა აფთიაქში და იკითხა მკვდარი ხომ არ გინდათ საყიდლათო?

— ვინ მკვდარი? სად გიშოვნია? — ჰკითხა აფთიაქარმა.

— ჩემი ბებია მოკალი, უბასუხა პეტრიცამ, — რომ ერთი ჩანახი ფული ავიღო...


— ჯვარი აქურობას! — თქვა აფთიაქარმა — ქუდიდან შესლილობარ... იცოდე, ასეთ სისულელეს ნუ როშავ, თორემ ჩამოგიკლებენო.

აფთიაქარმა დაწვრილებით აუხსნა პეტრიცას, რა დიდი ცოდვა ჩაუდენია, რა საძაგელი კაცია იგი და რა სასჯელი ეკადრება.

პეტრიცა ისე აიტანა შიშმა, რომ თავმოგლეჯი გამოვარდა აფთიაქიდან, გაჰკრა ცხენებს (გაექანა შინ. აფთიაქარმა და ყველა იქ დამსწრემ იფიქრეს ვადარეული იქნებოა, და აღარ გამოუდგენ უკან.

— მაკა, პეტრიცელავ, გადაგიხდი მგაიერს — დაიქაღნა პეტრიცამ, დიდს შარავას რომ მოაწია, — დილ, ვადაგიხდი!

როგორც კი მიბრუნდა შინ, მოავლო ხელი რაც უფრო დიდი ტომარა ეგულეობდა სახლ-



ში, მივიდა პეტრიკასთან და უთხრა: „შენ კიდევ მომაცუე, ჯერ ცხენები დამახოცინე. მერე ბება მომავლევინე; სულ შენი ბრალია, მაგრამ ვერ მოვართვის, მეტს ველარ მომაცუებ“. — თქვა და წავილა ხელი პეტრიკელას, ჩასვა ტომარაში, აიკიდა ზურგზე და გარეთ რომ გამოვიდა, დატანა: მოიკა, შენ თუ წყალში არ დავახრჩოვო.

მდინარემდის შორი საეალი იყო; პეტრიკელა გვირანი მძიმე ტვირთი გამოდგა. გზა ზედ ეკლესიის გვერდით მიდიოდა. ამ დროს იქ ისმოდა საკრავის ხმა და მლოცველების სააჟური გალოხა. პეტრიკამ დასლო თავისი ტომარა ეკლესიის კართან და იფიქრა, ურიგო არ იქება შევიდე და ერთი ფსალმუნი მაინც მოვისმინოვო. სულერთია, პეტრიკელა თვითონ ვერ ამოძვრება ტომრიდან, სოფელოვები კი სუყველანი ეკლესიაში არიანო... და შევიდა.

— ვაიმე, დედაო! — კენესოდა პეტრიკელა ტომარაში და ტრიალებდა აქეთ-იქეთ, მაგრამ ტომრის ვახსნა არაფრის გზით არ შეიძლებოდა. ამ დროს ჩამოიარა ერთმა ბებერმა, სრულებით თმაგათორებულმა მწყემსმა. ხარბისა და ძროხების ჯოგს მიერეკებოდა. ჯოგი წამოედვა ფეხით ტომარას და გადააბრუნა.

— ვაიმე, დედაო! ისევ დაიკენესა პეტრიკელამ. — ჩემისთანა ახალგაზრდა უნდა გაემგზავროს საიქიოსო?!

— მე უბედური კი — თქვა მწყემსმა, — ასე დაბებრებულვარ და მაინც ვერ მომიხერხებია, რომ იქ მოვხვედლო.

— მოხსენი თავი ამ ტომარას; — დაუძახა პეტრიკელამ — ჩაძვერი შივ ჩემს მავიერად და ამ წაშში სასუფეველში გაჩნდებო.

— დიდის კაყოფილებით, — უბასუხა მწყემსმა და მოხსნა თავი ტომარას, საიდანაც სწრაფად ამოხტა პეტრიკელა.

— აბა შენ იცი და შენმა კაცობამ, როგორ მოუვლი ჩემს ჯოგს, შენი ზრუნვისთვის მომჩნდვია, — თქვა მწყემსმა და ჩაძვრა ტომარაში. პეტრიკელამ გაუკრა ტომარას თავი, გაუდგა გზას და წაირეკა წინ ხარისა და ძროხის ჯოგი.

პატარა ხან უკან პეტრიკა გამოვიდა ეკლესიიდან. ისევ აიკიდა მხარზე ტომარა, ტვირთი ძალიან ემატა. მართლა ავრეც იყო,




იმიტომ რომ მწყემსი პეტრიკელაზე ერთობადა უფრო მჩატე იყო. შეხე, როგორ მოკლებია სიმძიმე, — იფიქრა მან: უთუოდ, მე რომ ერთი ფსალმუნი წაეკითხე, იმის მადლით მომხდარაო. ცოტახანს უკან მიადგა განიერსა და ღრმა მდინარეს, გადაისროლა წყალში ტომარა ბებერ მწყემსიანად და რადგან ეგონა, რომ ტომარაში პეტრიკელა იყო, თან მიამახა: დამილოცნია გზა და კვალი, მეტს ველარ მომაცუებო.

წავიდა პეტრიკა შინისაკენ, მაგრამ გზაჯვარედინზე შეეყარა პეტრიკელას და მის ჯოგს.

— რა აშბავია? — ჰკითხა პეტრიკამ, — აქი დაგახრჩვე?

— თითონვე ხომ იცი, რომ ნახევარი საათის წინ მდინარეში გადამისროლეო, — უბასუხა პეტრიკელამ.

— ეს მშვენიერი ჯოგი სადღა გიშოვნიაო? ეს სულ ზღვის პირუტყვებია, ყველაფერს მოგიყვები და მადლობას გეტყვი, რომ დაზახრჩვე, რადგანაც ახლა მე ცოცხალი ვარ, არც არაფერი დამშავებია და გამდიდრებით ხომ კიდევ უფრო გაემდიდრდი. საშინელი იყო თავშეკრულ ტომარაში ყოფნა და, როცა ხიდიდან ცივ წყალში გადამიძახე, ყურებში ქარივით წივლი დამიწყაო; იმ წამსვე ჩამძირა; მაგრამ არაფერი მომწვეია, რადგანაც მდინარის ძირზე საუცხოვო რბილი ბალახია ამოსული; როგორც კი დავეცი, ტომარა გაიხსნა, წარმოვიდგა წინ მშვენიერზე მშვენიერი ქალი, სულ თეთრებში ჩაცმული... სველ თმაზე მწვანე გვირგვინი ჰქონდა დაღმული... მომავლო ხელი და მიიხრა: ეს შენა ხარ, პეტრიკელა? მაშ ჯერ ეს გქონდეს, მიჩუქნია შენთვის რამდენიმე დიდი პირუტყვი და ერთი ვერსის იქით კიდევ ერთი ჯოგია, იმასაც შენ მოგცემო. ამ დროს ვნახე: თურმე მდი-



ნართის მცხოვრებლებსათვის დიდი შარავა ყოფილა მდინარის ძირზე. ხალხი მიდიოდა და მიდიოდა ზედ იმ ადგილამდე, სადაც თავდებოდა მდინარე. ვიშ, რა კარგი იყო იქ ყოფნა, რადარა ყვავილი გინდა, რადარა ნორჩი ბალახი! წყალში მოკურავე თევზები სწორედ ისე დაქროდნენ ჩემს ყურთან, როგორც იქ პაერში ჩიტები დაქრიან. რამდენი კარგი კაცი ენახე იქ, რამდენი უცხო სულდგმული სერებზე და ქალებში მობალახე...

— მაშ რისთვისღა წამოსულხარ იქედან ასე მალე? — ჰკითხა პეტრიკამ — თუ კარგი იყო, სამუდამოდ იქ დაერჩებოდლიო.

— საქმეც ის არის, რომ ჰკვიანად მოვიქეცი. ხომ გაიგონე რაც ვიამბე: წყლის ქალწულმა მითხრა-მეთქი, რომ ერთ ვერსს იქით გზახეო — გზას ის მდინარეს ეძახის, რადგან მიწაზე არ გამოესვლება, — დვას კიდევ ერთი მთელი ჯოგი შენდა საჩუქრადო; მაგრამ ხომ იცი, მდინარე ძალიან მიხვეულ-მოხვეულად მიდის და ბუდამ ხან მარჯვნივ უნდა გაუხვიოს კაცმა და ხან მარცხნივ; ამიტომ ვარჩიე სიარული წყლის პირას შემოვლებული გზით და შემდეგ ისევ ჩავალ წყალში: ამით ნახევარი ვერსით შევიმოკლებ გზას და უფრო ჩქარა ვიქნები იმ ალაგს, სადაც დანარჩენი დაპირებული ჯოგი დვას.

— რა ბედნიერი კაცი ყოფილხარ! როგორ

გგონია, მეც ხომ მივიღებ ჯოგს, წყალში რომ ჩავიდე?

— ჩემის აზრით, მიიღებ, მაგრამ მდინარეზე შენი წაღება მე არ შემძლია, თუ გინდა შენის ფეხით მიდი იქამდე და ჩაძვერი ტომარაში, მერე კი ბატონი ხარ, დიდის კმაყოფილებით გადაგადებ წყალში.

— მადლობელი ვარ, — უთხრა პეტრიკამ, მაგრამ გაფრთხილებ, ესლაც თუ ზღვის ჯოგი არ მივიღე, წიხლით გაგგუდავ.

— ნუ ჯავრობ, ნუ, შენი ქირიმე, გასწიე მდინარისაკენ.

ჯოგს რომელსაც პეტრიკელა მიერეკებოდა, სწყურდა; ამიტომ, დაინახეს თუ არა მდინარე, განქარებით გაიქცენ.

— შეხე, როგორა ჩქარობს ჯოგი, თქვა პეტრიკელამ, — ეტყობა, უნდა მალე ჩავიდეს ისევე მდინარის ძირში.

— აბა, ჰე, მომეხმარე, — თქვა პეტრიკელამ, — გეუბრებოდეს, ისევე გიმეორებ: თუ არაფერი იქნა, შემომაკვდები. თქვა და ჩაძვრა ტომარაში, რომელიც გადადებული ჰქონდა ზურგზე. — ქვაც ჩამატანე ტომარაში, — დააყოლა პეტრიკამ, თორემ ეგება ვერ ჩავეშვა ძირს.

— ჩემშეები, დარდი ნუ გაქვს, — უბასუხა პეტრიკელამ, — მაგრამ მიინც ჩატანა ქვა, მაგრად მოუკრა თავი ტომარას და ჰკრა ხელი წყალში.

„ტყაპ“ — პეტრიკა ერთბაშად წავიდა ძირს.

— ჯოგს მგონი ვერ იპოვის, — თქვა პეტრიკელამ და წისხა შინ ძროხები.

3. კახიანი

დიდა ჩენი დედაშიწა და შოვალრიცხოვა-
ნია მისი ცხოვრებნი. მიწა, წყალი, ჰაერი საფ-
სეა ურიცხვი ცოცხალი არსებით, ქვეყნდ
ათასგვარი სულდგმული დაფუსფუსებს საყვარე-
ლი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის.

არსებობენ ისე დიდი ცხოველები, რომელთა
დანახვა შიშს და განცვიფრებას იწვევს. არიან
ისე პაწია, ციკქნა ცხოველები, რომელნიც ს-
საცილონი და სპბრლონი არიან თავიანთი უმ-
წყობით.

ვისაც მდინარეში უთევზავებია, ის უეჭველად
შეხვდებოდა ერთს პატარა, უმნიშვნელო არსე-
ბას, რომელსაც კუ ეწოდება. აბა ვინ მიაქცევს
ყურადღებას ამ ბეჩავ ჩანჩალა ცხოველს, თავი
რალაც მორგველო საფარველიდან რომ გამოუ-
ყვია და საცოდაოდ ხან წინ ხან უკან რომ მი-
ბობლავს! მაგრამ კუ შორეულ ქვეყანაში გასა-
ოკარი სიდიდისა: ე. წ. ქერქიან (ტყვიან) კუს
2 მეტრი სიგრძე აქვს და 400 კილოგრამს იწო-
ნის. ის ზღვაში ცხოვრობს. კანი შედარებით
თხელი აქვს, ფეხები მალალი, ნადირობს თევზე-
ბზე, კობოებზე და ზღვის სხვა ცხოველებზე.
ქერქიან კუს გასაოკრად ძლიერი ძალა აქვს,
რუსი მეცნიერი ლუნკევიჩი ბევრ საინტერესო
ამბავს მოგვითხრობს ამ არსებათა ცხოვრებიდან.

ერთხელ ექვსმა მებზღაურმა ვანიზრახა ამოე-
თრიათ ზღვიდან ერთი ასეთი გოლიათი კუ.
თოკით დაიჭირეს ვეება ცხოველი და დაუწყეს
ნაპირზე ამოვლება, მაგრამ კუმ ისეთი ძალით
დაიხია უკან, რომ თუ მებზღაურებს სასწრა-
ფოდ რამდენიმე ამხანაგი არ მიშველებოდა,
კუ მათ უთოოდ წყალში ჩაყრილა. შეერთებულ-
იო ძალით მებზღაურებმა ბოლოს, როგორც
იყო, მოახერხეს კუს ნაპირზე ამოვლება და მისი
მსხვილი თოკით ხეზე მიზმა.

ზღვის კუს გარდა არსებობს ხმელეთის გო-
ლიათი კუ. ისინი ცოტა უფრო დიდრონი
არიან, კანი მაგარი ჯავშნით აქვთ დაფარული,
თავისუფლად დასეირნობენ ხმელეთზე, იკვებე-
ბიან მხოლოდ მცენარეულობით. საოკრად ლორ-
მუცელუბია ეს ცხოველები. მაგრამ სამაგიეროდ
უსაქმლოდ და უწყლოდაც მეტად დიდხანს
ძლებენ. ხმელეთის კუს, ვეება ტანის გამო, სპი-
ლო კუს ეძახიან.

ცნობილი მეცნიერი დარვინი მოგვითხრობს,

რომ ის დიდხანს აკვირდებოდა კუს. ერთხელ,
თურმე, დარვინი დაეწია მიმაველ კუს და ზურგზე
მოახტა. გოლიათ ცხოველს არაფერად ჩაუგდია
მოხალისე მხედარი, დამწვიდებით და აუღლევე-
ბლად განუგრძია გზა. მაშინ დიდ მეცნიერს
ერთი ხრიკისათვის მიუმაართავს. კუს მავარ ჯავ-



შანზე ცემა და ალიაქითი აუტეხია. ამ
ხერხმა გაქრა, კუმ საფარველიდანთავი გამოყო
და მთელი სიმაღლით აღიმართა. ბოლოს, რო-
ცა დარწმუნდა, რომ სფრთხე არ მოელის,
ჩვეულებრივ განაგრძო სიარული.

ადამიანისათვის კუ არ წარმოადგენს უსარ-
გებლო ცხოველს. გარდა იმისა, რომ მით კარ-
ვად ერთობიან, საქმელ ხორცადაც იყენებენ.
კუ საშუალოდ 6—8 ფუთამდე იძლევა ვარვის
ხორცს. კუს ხორცი ფრიად გემრიელია,—ის
ძლიერ გვაგონებს პატენისა და ქათმის ხორცს.
კუს რქისებრ გარსს იყენებენ სხვადასხვა ძვირ-
ფასი ნივთების დასამზადებლად.

კუს ზოგიერთი იშინაურებს ოჯახში. იგი
საკმაოდ უწყინარი ცხოველია, მას არ აშინებს
ადამიანთან შეხვედრა, მაგრამ თუ უშუალო
საფრთხეს იგრძნობს, თავს და თევზებს სქელ
ჯავშნთან საფარველში მალავს საშინო მდგო-
მარეობის თავიდან აცილებამდე. როგორც ხმე-
ლეთის, ისე ზღვის კუ კვერცხით შრავლდება. დედა
კუ თხრის სილას და შიგ დებს კვერცხებს 100—
160, ზოგჯერ მეტსაც—ამით მთავრდება მისი
მშობლიური მზრუნველობა. მზის სხივების გავლე-
ნით სილაში რამდენიმე თვეში იჩეკება პატარა კუ-
ები. პატარები საკუთარი, დამოუკიდებელი გზით
იწყებენ ცხოვრების გზის გაკვლევას სრულ
ჰასაკში კუ თერთმეტი წლის შემდეგ შედის
ის 250—300 წლამდე ცოცხლობს.

„კომუნისტი“

№ 11

ნოემბერი—1936

წელიწადი 80-11

საბ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და

საპარტიველოს ბანსახკომის

საბ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა:

„კომუნისტი“

ერთთვიური ჟურნალი

რედაქცია მისამართი: გრიბოედოვს ქ., № 34

ტელ. № 3-02-61

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. მელიის მოთქმა, — ლექსი ი. გრუშაშვილისა	83
2. შეუღრეკელი მებრძოლი, ე. აგლაძისა	2
✓ 3. ნიბლია, — ლექსი გ. კალანდაძისა	4
4. ფარაონის საუნჯე და ბუროთმოძღვრის საიდუმლოება, — მოთხრობა შ. მარიანაშვილისა	5
5. ხელუხლება, — ხალხური ზღაპარი	9
✓ 6. სოფლის შორა, — ლექსი გ. კაჭახიძისა	12
7. დათუნას მოგზაურობა, — პიესა თ. ბელიაშვილისა	13
8. მზე, — შ. თაბუკაშვილისა	15
9. ამოცანა, შედგენილი ივ. მაჭავარიანის მიერ — გარეკ. — მე-3-ე გვ.	
10. გასართობი გარეკ. 4 გვ.	

ჟურნალი გაფორმებულია მხ. ი. ქოქიაშვილის მიერ.

პ/მგ. რედაქტორი. მ. თომაძე

პ/მგ. მდივანი: ელ. აბლაძე